# საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
# ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 07 ივნისი, 2017
წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/36

**ხელოვნების უნივერსიტეტის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხ-ლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირვე-ლი პუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორცილებების წესში და მე-6 მუხლის მე-6 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,დ“ ქვეპუნქტი:

,,დ“ საბაკალავრო/სამაგისტრო პროექტი დასრულებული სახით და ხელმძღვა-ნელის ხელმოწერით დადასტურებული წარმოდგენილი უნდა იყოს დეკანატში და-ცვამდე არაუგვიანეს 10 დღისა“.

2. შეტანილ იქნას ცვლილებები აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორცილებების წესში. მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 და მე-13 პუნქტები:

,,12. ილუსტრატორის ობიექტური მიზეზით საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამო-უცხადებლობისას საკვალიფაიკაციო გამოცდა/გამოცდების ჩატარების ვადები განი-საზღვროს რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

13. კურსადამამთავრებელის თხოვნით საკვალიფიკაციო გამოცდის ინდივი-დუალურად დანიშვნის შემთხვევაში კომიიის მოწვევის ხარჯების ანაზღაურება დაეკისრება კურსდამამთავრებელს“.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია